საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ლესია უკრაინკა

ლესია უკრაინკა (1871–1913), უკრაინელი პოეტი. ნამდვილი სახელი და გვარი – ლარისა კოსაჩი. დაიბადა უკრაინაში, ქ. ნოვოგრად-ვოლინსკში, ცნობილი საზოგადო მოღვაწის პეტრე კოსაჩის ოჯახში. დედა – ოლღა კოსაჩი – ასევე ცნობილი მწერალი იყო. ბავშვობიდანვე ძვლის ტუბერკულოზით დაავადებულს, მშობლებმა ოჯახში კარგი განათლება მისცეს, ასწავლეს უცხო ენები, ფორტეპიანოზე დაკვრა. იგი მკურნალობდა ყირიმში, იტალიაში, ეგვიპტეში, ბულგარეთში. საქართველოში პირველად 1903 წელს ჩამოვიდა. სიცოცხლის ბოლო ათი წელი საქართველოსა და ეგვიპტეში გაატარა: ზამთრობით ეგვიპტეში მიემგზავრებოდა მეუღლესთან, კლიმენტ კვიტკასთან ერთად, წლის დანარჩენ დროს კი საქართველოში ცხოვრობდა (თბილისი, ბათუმი, თელავი, ქუთაისი, ხონი, სურამი). თბილისში დაწერა დრამა „შემოდგომის ზღაპარი“. ლ. უკრაინკას ქართული ენაც სცოდნია. ჯერ კიდევ 1895 წელს ლესიას ქართული ანბანი შეასწავლა და „ვეფხისტყაოსანი“ გააცნო კიევში სასწავლებლად ჩასულმა ნესტორ ღამბარაშვილმა, რომელსაც კოსაჩებთან ჰქონდა ოთახი ნაქირავები. შემდეგ კი, უკვე ქუთაისში სილოვან ხუნდაძის მეუღლე ასწავლიდა ქართულს. ლესია და მისი მეუღლე მეგობრობდნენ ზაქარია ფალიაშვილთან. 1911 წელს ქუთაისში დაწერა პოეტური დრამა ფეერია „ტყის სიმღერა“. ქუთაისიდან მძიმე ავადმყოფი ლ. უკრაინკა 1913 წლის ზაფხულში წაიყვანეს სურამში, სადაც რამდენიმე დღის შემდეგ გარდაიცვალა.

ლ. უკრაინკას ნეშტი სამშობლოში წაასვენეს და კიევში, ბაიკოვის სასაფლაოზე დაკრძალეს.